სახალხო გაზეთი

№ 135 სამშაბათი, 19 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 135

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул. N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ოთხშაბათს, 20 ოქტომბერს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

კაეინა ივდით გიორგის ასულის მაყაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და მეგობართ ვლადიმერი ათანასის ძე მაყაშვილი შვილებით. პანაშვიდი 12 საათზე.

დეკანოზი მატათია მირიანაშვილი, ესტატე, მიხეილ და ანნა მირიანაშვილები, ანნა კიკნაძისა, ელისაბედ მიქელაძისა, ბარბარე ელიზბარიშვილისა, მღვდელნი გრიგოლ კიკნაძე, ალექსი მიქელაძე და მიხეილ ელიზბარიშვილი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, პირველი ძვირფასის მეუღლის, მეორენი დედისა და დედამთილისა, ხოლო უკანასკნელნი სიდედრის

თინათინ ვასილის ასულის

გარდაცვალებას 18 ოქტომბერს. წირვა და დასაფლავება დანიშნულია 21 ოქტომბერს, სოფელ შილდაში, თელავის მაზრ.. (1—157—1)

ქირისუფლები გარდაცვალებულის პოლკოვნიკის თავადის ლევან მანუჩაროს ძის **ჩიჩუასი**, ღრმეს მადლობას სწირავენ იმ პირთ, არ დამ[illegible] ნუგეში სცა და მონაწილეობა მიიღო მათს მწუხარებაში პირადის დასწრებით, წერილის თუ დეპეშის გამოგზავნით. (156 1—1)

რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გაცემის აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ქუჩაზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—16)

● ერთად ერთი მარჯვე და შესაფერისია ოჯახობით საცხოვრებლად ახლად შეკეთებული ●

✦ მუხრანის ნომრები ✦

დღე-ღამეში 70 კ.-დან 5 მ.-დე ჰღირს, თვიურად 15 მან. 100 მანეთამდე ოთახების უმეტესობას აივნები და ფანჯრები ქუჩის მხარეზე აქვს. ოთახები მშვენივრად მოწყობილია. განათებულია ელექტრონით. ცივი და თბილი საბანოები. ფეხისადგილები ტეხნიკის უკანასკნელ მოთხოვნილებისამებრ. მსახურნი ზრდილობიანი და მკვირცხლნი. აქვე არის კომისიონერი. (30—155—2)

მოითხოვეთ ახალი პაპიროსი

„ანფისა“

ფასი 15 ცალი 6 კაპ.
„ 25 „ 10 „

„მირის“ ფაბრიკის მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი „ანფისა“ შემზადებულია მაღალ ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

მიაქციეთ ყურადღება საუკეთესო ხარისხის გემოვნებას (150 15—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიხამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. მ[illegible]—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფელდროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ — ნ. — 466)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხოხოლევსკი გ. მ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც გაძღვებს ექიმი ე. გ. ფელდროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.— 303)

„სახალხო გაზეთის“ კანტორა

აცხადებს, რომ 1 ღვინობისთვიდან მოისპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც წლის ბოლომდის არ ჰქონდა 8 მან. 50 კაპ. შემოტანილი. აგრეთვე მოისპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 1 ოქტომბრისთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ენკენისთვეს უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დაიჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დაიჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

◀● ფასები პარტიული და გადა- ●▶

ამა წლის ოქტომბრიდან

გაიხსნა

საპარტიო საწყობის განყოფილება (გალანტერიის) საქონლისა

ე. ი. ჭავჭანიძე და ი. ი. გველესიანისა

გოლოვინის პროსპექტი, სახლი ოქოევისა N 34, ცირკის გვერდით.

სადაც მოიპოვება ყოველთვის თეთრეული როგორც ქალისა და კაცისა, აგრეთვე ფუფაიკები ქალებისა და კაცებისა, შლიაპები კაცებისა და ყმაწვილებისა, ჩულქეულობა და ხელთათმანები, ქოლგები ქალისა, კაცისა და ყმაწვილებისა, ტროსტები, გალსტუხები, პარფიუმერნი და კოსმეტიური საქონელი სხვა და სხვა ფირმების და აგრეთვე მრავალი ახალ მოდის საქონელი. 5—131—4)

ფასები ◀ მაღალი

▶ დაბალი

პარტიული და გადაწყვეტილი ●▶

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 11.

სამშაბათს, 17 ოქტომბერს, 1910 წ. გაიმართება

◀ საღამო-მეჯლისი ▶

ა. ბ. შიხინოვის გამგეობით, შემდეგის პროგრამით

I

მეჯლისი იტალიელებითურთ

1 მოქ. ოპერეტა მუზ. ოფენბახისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობენ: ტასო აბაშიძე, ნ. ჯავახიშვილი, ვასო აბაშიძე, დ. მგალობლიშვილი, ზ. საფაროვი და ბერიშვილი.

ორკესტრი პოლ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

II **ლიტერატურული განყოფილება**

ლექსებსა და სცენებს წაიკითხავენ ქართველი მსახიობნი.

III **ცხოველი სურათები**

დაიდგმის მხატვარ-მექანიკოსი ნიკოლაძის მიერ.

IV **ბიუროკრატის სიზმარი**

კომ 1 მოქმ. არეტა პროტოპოპოვისა, თარგ. ხახანაშვილისა.

მონაწილეობენ ა. კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი კ. მესხი, არადელი, ი. ყიფიანი, ვ. გუნია, მატარაძე, გვარამე, ზარდალიშვილი და სხვანი.

ანტრაქტების დროს, ფოიეში დაუკრავს პეტროსას საზანდართა დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები არავის არ გაეგზავნე ბა.

ადგილების ფასები ჩვეულებრივი.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

ხარაზ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ნოვიცკი— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ, ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12ს. დილ.

ი. მ. ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—8)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ს: ღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—239)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა (უ)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—13)

ნაფიცი ვექილი

გრიგოლ დიასამიძე

დაბრუნდა.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 ს. და საღამოს 6—7 ს. ბინა: ოლღას ქუჩა, ახლი № 4. (5—136—4)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ბედი სიძისა

გამოცემა მიხეილ ნემსაძისა

ფასი 10 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა. ტელეფ. № 372.

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—57)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაბაშვილისა (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი მ. ს. არჯევანიძე

ქუთაისში.

იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა (25—9—25)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ტფილისი, 19 ოქტომბერი

ქართულ თეატრის გარშემო.

ჩვენი რეცენზენტი ყოველ თავის რეცენზიას მოკლე, მაგრამ მრავალმნიშვნელოვან შენიშვნას გაუკეთებს ხოლმე: წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრაო. დღითი-დღე ცხადი და ჭეშმარიტი ხდება, რომ ქართველი ინტელიგენცია ქართულ წარმოდგენებს გაურბის. რითი უნდა აიხსნას ეს მოვლენა? ერთხანად ყველა იმას იძახდა, რომ მსახიობები ცუდად თამაშობენ, მომზადებულნი არ არიან, სცენა მოწყობილი არ არის; მოუწყობელ სცენასა და მოუმზადებელ მსახიობს-კი არ შეუძლიანთ განათლებული საზოგადოება დააკმაყოფილონო. რამდენადმე ეს მართალი იყო. მაგრამ, თუ მიზეზი მხოლოდ იმაში იყო, მაშინ ამ უკუღმართობის გამომწვევ მიზეზების მოსპობის შემდეგ, ქართველ საზოგადოების გულგრილობაც უნდა მოსპობილიყო.

მაგრამ დრამატიულმა საზოგადოებამ დიდის ენერგიით მოჰკიდა საქმეს ხელი; იგი არც შრომას ერიდება, არც ხარჯებს. სცენა საკმაოდ ლამაზად მოაწყეს, მსახიობები, თქმა არ უნდა, ბევრს მუშაობენ; წარმოდგენები, საზოგადოდ, ისე იდგმება, რომ თავისუფლად შეუძლიან დაუკმაყოფილოს ესტეტიური მოთხოვნილება ჩვენს საზოგადოებას; მაგრამ საზოგადოება მაინც თეატრში არ დადის. მაშ, მიზეზი მარტო მსახიობების მოუმზადებლობასა და სცენის მოუწყობლობაში არა ყოფილა, მიზეზი, სხვათა შორის, იმაშიაც უნდა ვეძებოთ, რომ ქართველ ინტელიგენტს, საზოგადოდ, ქართულ კულტურისა არაფერი სცხია. რუსულ სკოლაში აღზრდილ ახალგაზდას, რუსულ ენაზე უფრო ეხერხება ლაპარაკი. იგი რუსულ მწერლობითა საზრდოობს, რუსულ ხელოვნებას ეტანება. ეს კიდევ ცოტაა. ქართველმა ინტელიგენციამ დაჰკარგა უნარი ქართულ ენის სილამაზის გაგებისა. ქართული მუსიკა და სიმღერა მას სმენას ველარ უხალისებს, ქართული ლექსის სილამაზეს ვერა ხედავს, ქართული ენა სალაზღანდარო ენადა აქვს მიჩნეული. ქართველმა ინტელიგენტმა, შესაძლებელია გულახდილად არ გითხრათ ეს, შეიძლება თვითონ ვერც კი გრძნობდეს თავის სიმახინჯეს, შეიძლება მან სრულიად სხვა და სხვა მიზეზები დაგვისახელოს თავის გულ-გრილობის ასახსნელად, მაგრამ მიზეზი, ნამდვილი მიზეზი კი მარტო ეს იქნება.

დააკვირდით თქვენს „განათლებულ“ ნაცნობ-მეგობრებს, დააკვირდით მათს არგუმენტებს, მათს სიტყვა-პასუხს, თუ ნათლად არ დაინახოთ, რომ ქართული ენა და, მაშასადამე, ქართული თეატრიც მათთვის სრულიად უცხო არ იყოს. ასეთია საზოგადო სურათი. გამონაკლისი ყველგან არსებობს და, შეიძლება, აქაც იყოს.

მიუხედავად ამისა, დრამატიულმა საზოგადოებამ მაინც თავისი მოქმედება არ უნდა შეასუსტოს და ყოველი ღონის-ძიება იხმაროს, რომ ქართველი საზოგადოება მიიზიდოს. ამისათვის საჭიროა ცოტა ცოცხალი რეპერტუარი შეიმუშავოს, მეტი ყურადღება მიაქციოს ისეთ პიესებს, რომელიც საზოგადოების ყურადღებას იპყრობს და რითაც საზოგადოება დაინტერესებულია. ამასთან კარგს იზამს დრამატიული საზოგადოება, თუ ქუთაისიდან მოიწვევს ხოლმე ვისმეს საგასტროლოდ, განსაკუთრებით კი ნინო ჩხეიძეს. ყველა ეს ცოტა გამოაცოცხლებს ქართულ სცენას. ვნახოთ, იქნება სასწაული მოხდეს და ქართულმა საზოგადოებამ დაიწყოს ჩვენს თეატრში სიარული.

ქალაქის თვითმმართველობა და მშრომელი ხალხი.

რომ დასმული საკითხი უკეთ იქმნეს გარკვეული, ჩვენ შევეხებით ქალაქის თვითმმართველობის საზოგადო პოლიტიკას რუსეთში და აღვნიშნავთ, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს მას მშრომელ ხალხისათვის. თვითმმართველობაში გამეფებული პოლიტიკა და მის ორგანოების მოქმედება განიზომება მით, თუ რამდენად მეტი მასაა ღებულობს მასში მონაწილეობას. დღევანდელმა დიდმა ქონებრივმა ცენზმა ქალაქის ბატონ-პატრონობა მხოლოდ უმცირესობას ჩაუგდო ხელში ქალაქის ბედ-იღბალი და მცხოვრებლების ინტერესების დაცვა სახლის მეპატრონებისა, ვაჭრებისა და მეფაბრიკეების ხელშია. რამდენად მოკლებულია მშრომელი მასსა ქალაქის მართვა-გამგეობას და მის პატრონობას ამას ქვემოდ მოყვანილი ციფრები დაგვანახვებს. პეტერბურგში, სადაც მილიონ ნახევარი მცხოვრებია, უკანასკნელ არჩევნების დროს (1909 წელს) მონაწილეობის უფლება ჰქონდა მხოლოდ 14,136 კაცსა მოსკოვში-კი 1900 წელს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 7,252 კაცსა, მაშინ როდესაც მცხოვრებთა რაოდენობა ერთ მილიონს აღემატება. ოდესაში, სადაც ნახევარ-მილიონი მცხოვრებია, 1901 წ. არჩევნებში მიიღო მონაწილეობა 2,079 კაცმა, როგორც „სახალხო გაზეთის“ 103 ნომერში ამოვიკითხე, ფოთის 10,000 მცხოვრებიდან მხოლოდ 389 კაცი არის აღჭურვილი ქონებრივ ცენზით, რაიცა უფლებას აძლევს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. საშობლოს მოშორებულს, არ შემიძლიან მოვიყვანო ციფრები საქართველოს სხვა ქალაქებიდან, სადაც არჩევნებითი სისტემა სრულ აბსურდამდის არის მისული, მაგრამ უციფროდაც კარგად ვიცით, რომ მშრომელი ხალხი გამოდევნილია ყველგან და ქალაქის მართვა-გამგეობაში იგი არაფერს ღირებულებას არ წარმოადგენს. ტფილისის თვითმმართველობა რომ სოლოლაკელ ბურჟუაზიისა და ნაძალადევის მშრომელ ხალხის ხელშია, ეს ყველასათვის ისედაც ცხადია. რომ მათ საბჭოში არა ჰყავთ ნამდვილი წარმომადგენლები, მშრომელ ხალხის ინტერე-

სების გამომხატველი, ესეც ცხადია. ამას მიუმატეთ კიდევ გუბერნიის ადმინისტრაციის პატრონობა, რომ „ქალაქის მამების“ მოქმედებამ არ გადალახოს ის კალაპოტი, რომელშიაც მომწყვდეულია მათი სამოქმედო ასპარეზი. ყველას კარგად მოეხსენება, თუ რარიგ იქნება დაცული მშრომელი ხალხის ინტერესები იმ საბჭოში, რომელიც მექარხნეებისა და ვაჭრებისაგან არის შემდგარი. ქალაქის თვითმართველობა მათს ხელში ვიწრო კლასიურ ინტერესების გამომხატველ იარაღად არის გადაქცეული; უთავბოლო გადასახადების გაწერა, საშინელი ანტისანიტარული მდგომარეობა განაპირა ადგილებისა, სადაც ღარიბი ხალხი სცხოვრობს, ქალაქის ფულების გაფლანგვა, რომელიც მშრომელ ხალხის ზურგიდან არის აღებული, სრული უკონტროლობა და ნათლი-მამობა ქალაქის საქმეებში,—აი, რით ხასიათდება ჩვენის ქალაქის მამების მოქმედება, აი, რა შეადგენს მათს პროგრამას.

უკანასკნელს დროს, როგორც დასავლეთ ევროპაში, რუსეთის ქალაქის თვითმმართველობანი დამოუკიდებელ მწარმოებლის როლს კისრულობენ; იმის მაგიერ, რომ კერძო პირს, ან აქციონერთა კომპანიებს გადასცენ რაიმე ქალაქის წარმოება, თვითონ იგდებენ ხელში. თან და, თან ქალაქის ხელში გადადის რკინის გზები, საყასბოები, წყლის არხები და ასე წარმოიდგინეთ, ქალაქის შენობათა აგების საქმეც. ასეთი დამოუკიდებელი წარმოება ქალაქის მეურნეობისა ძლიერ ხელსაყრელია; მხოლოდ იგი შეფარდებული უნდა იყოს მთელის ქალაქის მცხოვრებლების ინტერესებთან. სამწუხაროდ ცხოვრებაში-კი სულ სხვანაირად ხდება. გადასვლა სხვა და სხვა საწარმოო საქმეებისა ქალაქის ხელში, ფართე მასსისათვის ხელსაყრელი როდი გამოდგა, არამედ იგი არა-პირდაპირ გადასახადად დააწვა მშრომელ ხალხს კისერზე, ვინაიდან მთელს შემოსავალს ამ წარმოებებში მშრომელი ხალხი იძლევა. ტრამვაით, საყასბოებით, წყლის არხებით ქალაქის ფართე მასსა სარგებლობს და ისევ უზრუნველჰყოფს ქალაქის შემოსავალს.

რამდენად მეტია ნიხრი ქალაქის საყასბოებით სარგებლობისათვის, იმდენად მეტია ფასი ხორცზე. აქედან, ცხადია, რომ ნიხრის აწევით ქალაქის თვითმმართველობა აწესებს არა-პირდაპირ გადასახადს ხორცზე. ხოლო მშრომელ ხალხისათვის სულ ერთია, პირდაპირ თუ არა პირდაპირ გაძრობენ ტყავს. ასეთივეა რკინის გზების და წყლის არხების საქმე. ის ქალაქის წარმოებები, რომელიც დამოკიდებულია ვაჭრებისაგან, ნაკლებ შემოსავალს აძლევს ქალაქს. ქვემოდ მოყვანილი ციფრები დაგვანახვებს, თუ რა რიგ გამოიყენეს თავის ვიწრო კლასიურ ინტერესების გამომხატველ იარაღად ქალაქის თვითმართველობა ჩვენმა „მამებმა“. პეტერბურგის საბჭომ დახარჯა თავის საყასბოებისათვის 2,447,000 მანეთი და 1904 წ. 437,000 მ. წმინდა მოგება ნახა, რაც 18 პროც. უდრის. ქალაქის დასაწყობ ბელლებიდან-კი 96,000 მან. მოგება ჰქონდა, როდესაც მის მოწყობაში დახარჯა 13,806,006 მანეთი. ასეთი სხვა და სხვაობა შემოსავალში აიხსნება იმით, რომ საყასბოებით ფართე მასსა სარგებლობს, ასაწყობი ბელლებით-კი მხოლოდ ვაჭრები. ვაჭრებისა და სახლის პატრონებისაგან შემდგარი საბჭო იმის ცდაშია, რომ ქალაქის თვითმართველობა თავის ვიწრო ინტერესს შეუფარდოს. მას როდი ატკენს თავს ქალაქის ფართე მასსის ინტერესები. ვინაიდან ქალაქს ბევრი მშრომელი ხალხი აწყდება, ქალაქის თვითმმართველობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს მშრომელ ხალხის იმგვარ სერიოზულ საკითხებს, როგორიცაა შიმშილობა. უბინადრობა და საზოგადო მუშაობის მოწყობა აქ ნათლად გამოსჭვივის ჩვენის „მამების“ ვიწრო კლასიური ინტერესები. 1906—7 წლებში პეტერბურგისა და მოსკოვის „ქალაქის მამებმა“ ბლოკი შეკრეს მეფაბრიკეებსა და ადმინისტრაციასთან; მათში ისეთი აზრი ტრიალებდა, რომ მუშები მაშინ მოვლენ ჭკუაზე, როდესაც შიმშილს გამოსცდიანო. გასაკვირია,-ღმერთმანი! როდის იყო მშრომელი ხალხი მაძღარი? როდესაც პეტერბურგის უსაქმო მუშებმა, ათასი დავიდარაბის შემდეგ, თავის მოძმე მომუშავე—ამხანაგების დახმარებით, მოაწყვეს ორგანიზაცია საზოგადო მუშაობისა, „ქალაქის მამებმა“ მოუხედავად იმისა, რომ ზამთარი იწყებოდა, უარი სტკიცა მათ და მუშაობა შესწყვიტა; თავს იმითი იმართლებდა, რომ საქმე კარგად ვერ არის შესრულებულიო. ქალაქის ბატონ-პატრონებმა, ესე იგი ვაჭრებმა და მეფაბრიკეებმა, ვერ გაუძლეს იმას, რომ 8 საათს გრძელდებოდა მუშაობა. მათს გულს ეხამუშებოდა, რომ საქმე ჰქონდათ მუშათა ორგანიზაციასთან. მათ სულს უწუხებდა ის გარემოება, რომ უმუშევარნი ნამდვილს პროლეტარულ სოლიდარობას იჩენდნენ. ჩვენ ზევით ვსთქვით: ქალაქის თვითმართველობას მშრომელ ხალხისთვის აქვს ის მნიშვნელობა, რომ იგი ხშირად კისრულობს მწარმოებელის როლს, რის დროსაც მას მუშასთან აქვს საქმე. მშრომელი ხალხის მდგომარეობა საქალაქო წარმოებაში უფრო უარესია, ვიდრე კერძო მწარმოებლის ხელში. შრომის ექსპლოატაცია აქ თავის უმწვერვალეს წერტილამდის არის ასული. ხოლო სრულიად აუტანელია მშრომელ ხალხის მდგომარეობა, როდესაც ქალაქის მეურნეობაში, გარდა ეკონომიურისა, ნაციონალური ტენდენციებიც იჩენს თავს. ის მაგალითი, რომ ტფილისში მელიფლიფეთა ადგილი არ დაუთმეს ქართველს მშრომელ ხალხს იმიტომ, რომ იგი ქართველია, ბევრსა ჰღაღადებს. ეს პატარა ფაქტი სამაგალითო ნიმუშია იმისი, თუ როგორი ჯურის ბურჟუაზიასთან უხდება ბრძოლა ტფილისის მშრომელ ხალხს. ტფილისის „მამებს“ მარტო ვიწრო, კლასიური ინტერესები როდი ალაპარაკებს, როგორც ეს ზოგიერთს უვიცს ჰგონია, არამედ მათს მოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია იმგვარ ნაციონალიზმს, რომელიც უპირატესობას აძლევს ერთს მშრომელ ხალხს მეორეზე და საქმის მოწესრიგების დროს არ ხელმძღვანელობს სამართლიანობის პრინციპით.

საშინელი მცირე სამუშაო ქირა, დიდი სამუშაო დღე და უთავბოლო ბატონ-პატრონობა,—აი, დამახასიათებელი თვისებანი რუსეთის მუნიციპალიტეტებისა. როდესაც მშრომელი ხალხი მოითხოვს ხოლმე სამუშაო ქირის გადიდებას „ქალაქის მამები“ გაიძახიან, რომ ეს გარემოება აფერხებს ქალაქის ფინანსიურ საქმეებსო; თუმცა ამ მოსაზრებით როდი ხელმძღვანელობენ მაშინ, როდესაც ქალაქის თავს, ან რომელსამე გამგეობის წევრს, ჯამაგირს უმატებენ.

მშრომელ ხალხის მდგომარეობა საქალაქო წარმოებაში მით უფრო უარესია, რაც თავის ცხოვრების გაუმჯობესობა მას ძვირად უჯდებათ. ქალაქის საწარმოო საქმეებს საზოგადოებრივი ხასიათი აქვს. ამიტომაც გაფიცულები, დღევანდელ საკანონმდებლოს, მიხედვით სასტიკად ისჯებიან. საზღვარ გარეთ, სადაც ქალაქური ცხოვრება მეტად განვითარებულია, საშინელს სიძულვილს ვამჩნევთ მუშათა ორგანიზაციის მიმართ ქალაქის თვითმართველობის მხრივ. მაგრამ, სადაც მშრომელმა ხალხმა მოასწრო მტკიცე ორგანიზაციის შეკვრა, იქ უკეთესია მისი მდგომარეობა. სამუშაო დღე გერმანიის საქალაქო წარმოებაში 9 საათია, სამუშაო ქირას თავის მინიმუმი აქვს, რის დაკლებაც ყოვლად შეუძლებელია. მშრომელ ხალხის მესვეურნი ყველგან მოითხოვენ დღევანდელ არჩევნის სისტემის რადიკალურ შეცვლას. მოითხოვენ ქალაქის თვითმართველობის სრულს დამოუკიდებლობასა და საგუბერნიო ადმინისტრაცია პატრონობის მოსპობას. მშრომელ ხალხის მიზანს უნდა შეადგენდეს ქალაქის მართვა-გამგეობაში თავისუფლების გაფართოვება, უკეთ რომ ვსთქვათ, ქალაქის ფუნქციების სრული ლიკვიდაცია და თავის ხელში ჩაგდება. ყველა ამასთან დაცული უნდა იყოს შინაურ საქმეებში ნაციონალური სამართლიანობა. როგორც ვიცით, ყოველს ქალაქში მრავალ ერის მშრომელი ხალხია, რომლის, როგორც ეკონომიური, ისე ნაციონალური, ინტერესები არ უნდა იქნეს შელახული. ქალაქის ფართე მასსის აქტიური მონაწილეობა მართვა-გამგეობაში, დემოკრატიის სრული გამარჯვება ძირიან-ფესვიანად მოსპობს დღევანდელ ქალაქის თვითმმართველობებში გამეფებულს შოვინიზმს. და მაშინ აღარ მიეცემა უპირატესობა ამა თუ იმ ერის მშრომელ ხალხს, როგორც ამას სჩადის დღევანდელი ტფილისის საბჭო. ის ფაქტი, რომ „ქალაქის მამები“ თავისთვის ხელსაყრელს პოლიტიკას აწარმოებენ და მუშათა ინტერესების დაცვა მათ არასფრად აწუხეთ, ყველამ კარგად იცის. ამის შესახებ დემოკრატიას არ შეეძლიან ორი აზრი იქონიოს.

კ. ჩხეიძე.

P. S. როგორც კიევში ჩამოსულმა ამხანაგებმა გადმომცეს, „ახალი გზის“ აგვისტოს ნომრებში ყოფილა წერილი რედაქციისაგან შემდეგის ხასიათისა: ჩვენის გაზეთის მკითხველებიდან მოგვდის წერილი, რომ კ. ჩხეიძე, რომლის წერილებიც „სახალხო გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება, მესამე სათათბიროს დეპუტატი კარლო ჩხეიძე ხომ არ არისო? მათ საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ არც კარლო ჩხეიძესთან და არც „ახალი გზის“ რედაქციასთან არავითარი იდეიური კავშირი არა მაქვს.

კ. ჩხეიძე.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17—18 ოქტომბერი.

საზღვარ-გარეთ

ვენა. ავსტრიელთა დელეგაციის კომისია. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ „კმეტების“ ამბოხება გაზეთების წერილებმა და ბოსნიაში გავრცელებულმა ბროშურებმა გამოიწვია, რაიცა არ შეეფერება ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათ. სერბიისა და ბოლგარიის გათანაბრება ყოვლად შეუძლებელია: იქ მესაკუთრენი გარეკეს საკუთარ მამულებიდან; „კმეტებმა“-კი მთავრობის მიერ მიღებული ზომები შეითვისეს და მოძრაობა უსისხლოდ დასრულდა. ჟანდარმერია მხოლოდ იმისთვის გავგზავნეთ, რომ ეს მოძრაობა არ გაზრდილიყო. სეიმში შეტანილ კანონ-პროექტს აზრადა აქვს ხელი შეუწყოს მემამულეებს, რათა მათ ნებაყოფლობით განთავისუფლონ „კმეტები“.

პარიზი. მილერანმა და ბრიანმა პალატას მოხსენება წარუდგინეს, სადაც ამტკიცებდნენ, რომ მთავრობას განუწყვეტელი მოლაპარაკება ჰქონდა როგორც გაფიცულთა რწმუნებულებთან, ისე რკინის გზის მეპატრონე ამხანაგობასთან.

თავრიზი. მთელს ქალაქში სპარსეთის რევოლუციონერებმა პროკლამაციები მოჰფინეს და იწვევენ მდიდართ კლასზე გასალაშქრებლად. პროკლამაციები ენზელშია გამოცემული და რევოლუციონერთა საკუთარ სტამბაში დაბეჭდილი. მცხოვრებნი შიშის ზარმა აიტანა ტაგი-ზადეს პარტიის სარევოლუციო აგიტაციისა გამო. და ემდურიან გუბერნატორს უმოქმედობისთვის.

ვენა. ცეტინიედან იტყობინებიან, რომ ოსმალეთ-შავ მთის საზღვრებზე მაუზერებით შეიარაღებულია არა მარტო ალბანელები, არამედ ნოვო-ბაზარის სანჯაკის მუსულმანები და ჩერნოგორიის მომიჯნავე მოსახლეობაც. გუშინაც სროლა ასტყდა, რადგან ალბანელები საზღვარზე გადასვლას სცდილობდნენ.

პარიზი. ზოგიერთმა სოციალისტმა პალატაში გაკიცხა მთავრობა, რომ, გაფიცვის დროს სარკინიგზო ამხანაგობათა მხარი გეჭირათ და ამისათვის სდევნიდით გაფიცულთაო.

ბერლინი. პოლიციის ცნობებით, გუშინ საღამოთი ბერლინის ჩრდილო უბნებში დიდ ძალი ხალხი შეიკრიბა. მიზეზი მეყასბეების მიერ ნოქრების დათხოვნა იყო. ამ შეკრებით დაწყებული უწესობა აჯანყებამდე მივიდა. თერთმეტს პოლიციელს ქვები დაუშინეს ქუჩებში ფარნები ჩალეწეს.

პოლიციამ იარაღს მიმართა. ხალხმა ლანძღვა-გინებით, წყევლა-კრულვითა და სტვენით უპასუხა. არეულობამ დილის 3 საათამდე გასტანა.

პოლიციის აზრით, ეს არეულობა მუშათა ორგანიზაციის მოწყობილია.

თეირანი. მუსტოუფი-ულ-მემალიკის თავმჯდომარეობით კაბინეტში ცვლილება მოხდა: შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა პრინცი ეინუდდოული, სამხედრო მინისტრად—ფერმან-ფერმა, იუსტიციისა—მუხტეშამუსს-სალტანე, ფინანსთა—სანიუდ-დოულე, გარეშე [illegible]ნანდელი—ნავაბი.

პარიზი. გუშინ საღამოს, პალატის კრების დასრულების მერე, 200 დეპუტატმა, ბრიანის განცხადების გამო, ერთხმად დაადგინა, რომ მოითხოვოს უბრალო გადასვლა მორიგ საქმეებზე. მათ გადასწყვიტეს პასუხი აღარ გასცენ ბრიანს, უკეთუ კვლავ ილაპარაკებს. მინისტრთა საბჭოს კრებამ დაადგინა: ბრიანმა პალატას განუცხადოს, რომ მთავრობა მორიგ საქმეებზე უბრალო გადასვლას არ შეიწყნარებს, რომ იგი მოითხოვს ნდობის გამოცხადებას.

ლისაბონი. დიქტატორად ნამყოფი, პრეზიდენტი ფრანკო დაატუსაღეს.

პარიზი. პალატის კრებას დიდი ხალისი ეტყობა. დარბაზი სავსეა. დამოუკიდებელმა სოციალისტმა ლანდრიმ მოიწონა ბრიანის განცხადება. რადიკალ-სოციალისტმა დალიმმ უარჰყო ბრიანის წინადადება. ლაპარაკობს ბრიანი. მან განაცხადა, რომ უკიდურეს პირობებში, აუცილებელია განსაკუთრებულ ზომების მიღება. მთავრობა ყველა საკითხებში რესპუბლიკის უმრავლესობას ემყარება და მისგანაც მუდამ ნდობას მოითხოვს. ამ უკანასკნელ კრიზისის დროსაც. მთავრობა სცდილობდა ყველას სამართლიანად მოჰქცეოდა და ძალ-მომრეობისათვის არ მიუმართავს. ქუჩებში წესიერების აღდგენის შემდეგ, სადაც ერთი წვეთი სისხლიც არ დაქცეულა, მე ვდგევარ თქვენს წინაშე და მხოლოდ თქვენს ნდობას ვითხოვ. თუ გსურთ—უარ მყავით!.. 384 ხმით 156 ხმის წინააღმდეგ, პალატა უარ ჰყოფს მთავრობის მიერ არ—მიღებულს უბრალო გადასვლას მორიგ საქმეებზე. ამ დადგენილებამდე, კრუპპიმ მიმართა ბრიანს: თუ გსურს წესიერება დამყარდეს, უარი განაცხადე თანამდებობაზეო. ხოლო სიტყვის ბოლოს იგი ნდობას უცხადებს მთავრობას და მოსწონს მისი საქციელი. დიდი მოძრაობა. ჟიულ-გედი ჰკიცხავს ბრიანს, უკანონო და თავ-აღებულ ზომებით დასჩაგრე გაფიცულნიო; იგი თხოულობს, რომ მორიგ საქმეებზე მთავრობისადმი ნდობის გამოუცხადებლად გადავიდნენ, ხოლო ბრიანი კი პა-

იდუმალი ძალა

(ვუძღვნი ელენე სამსონ ჩიქოვანის ასულს *).

ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ცხადად გავარჩიე წისქვილის ხრიალი და სარეკელას რაკა-რუკი. ყავრით ხურული, ძელის პატარა ქოხი, რომლის წინ გაღადღადებულ ცეცხლის პირას მორთხმით იჯდა ყაჭივით გათეთრებული მოხუცი. ცოტა მოშორებით უდარდელად მოხვეულიყო ვეებერთელა თაფლის ფერი ქოფაკი, რომლის მსგავსი მხოლოდ მეცხვარეებში მინახავს ხოლმე.

ეცა თუ არა, ჩვენი მიახლოვების სუნი, იგი მყის წამოვარდა და ყეფით შემოგვიტია. თავის მხრივ ვითომ ქედანამაც გამოიჩინა გულადობა: წინ გამისწრო და აქოჩრილი, ღრენით შეეგება, მაგრამ შეატყო, რომ მოპირდაპირე მასზე უფრო ძლიერი იყო და ერთს წამს შეჩერდა, ქეჩო დაუშვა და დამარცხებული, ლაქუცით მიუახლოვდა. ქოფაკმაც სულგრძელობა გამოიჩინა, ცოტა ყოყმანის შემდეგ იგიც მოუახლოვდა სტუმარს ქედანას და ტუჩზე კოცნით მშვიდობის ამბავი ჰკითხა.

ძაღლის შემოტევაზე მოხუცი წელში გაიმართა და ხრინწიანის, ძილმორეულის ხმით შემეკითხა:

— ვინა ხარ?..

მეც ჩემი ვინაობა ვუთხარ და მივუახლოვდი.

— მობრძანდი!

თავაზიანად მიმიწვია მან, თუმცა მის ხმაში ნაწყენობის კილო ისმოდა—მაინცა და მაინც არაფრად იამა ჩემი უდროო სტუმრობა.

— აქა მშვიდობა!

მისვლის უმალვე წარმოვსთქვი მე.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოს უფალმა!

იყო პასუხი.

მისალმების შემდეგ მოხუცმა ხის ნამორს მიმითითა და დაჯდომა მთხოვა. თვითონ ისევ მიწაზე მოიკეცა და ცნობის-მოყვარეობით დაიწყო თვალიერება.

ახირებული სანახავი იყო ჩემი მასპინძელი.

ნაპენტ-ბამბასავით თეთრი წვერი სარტყელამდი დაჰფენოდა; ამგვარივე თმა თითქმის მთელ ბეჭებს უფარავდა. მაღალი შუბლი, ღრმად მჯდომი თვალები და დახვეწილი სახე—განდეგილს მოაგონებდა მნახველს; თანაც ტანთ რაღაც ანაფორის მსგავსი შავი ფლასი ემოსა, რაც სრულს ჰყოფდა უცნაურს მგვანებას.

— გეტყობა, მონადირე ბრძანდები!

ოდნავ გულს მომეშვა: უნებური სიჩუმე და ერთმანეთის თვალიერება ორსავ უხერხულს მდგომარეობაში გვაყენებდა.

დიახ, მონადირე გახლავარ, ნადირმა წამიტყუა და აი, დამიღამდა კიდეც.

— ეჰ,—ნაღვლიანად ამოიოხრა მოხუცმა—მოჩივდა წუთის-სოფელი: ძველს დროში ნადირიც ბევრი იყო და კაი მონადირეც. ახლა სადღაა?.. მახსოვს, ზამთარში ჯიხვი ფარეხში შემოდიოდა ხოლმე, ისე ქარბი და თვინიერი იყო, ახლა კი —მთელი მორაბიეთი (მთა) უნდა შემოირბინო ერთის ბეცი კურდღლისათვის.

— ინადირე რამე?

— ვერაფერი მაინცა და მაინც!

და ნანადირევს მივუთითე.

— აკი მოგახსენე. ბრუნდსა და მართალს თოფი უკავია—გაწყდა ნადირი. რაც გადარჩა, აქაურობას უტია. ტყეებიც ისე გასჩეხეს, რომ ნადირი კი არა, ჰინჩრაქა ველარ დაიმალავს თავს. ნადირის კი ადამიანზე ნაკლებ არ უყვარს მყუდროება და ლაღობა. მე კი არ მოვსწრებივარ, მაგრამ გამიგონია, რომ დაბინდდებოდა თუ არა, სოფელს უიარაღოდ ვერ გასცილდებოდი. ახლა, ეჰ—მოხუცმა უიმედობის ნიშნად ხელი ჩაიქნია—ახლა ადამიანსაც თოფით დასდევენ უკან და ნადირზე რაღა ითქმის.

ვუსმენდი მოხუცს და ვკვირობდი: მთელი მისი თვალ-ტანადობა, სიტყვა-პასუხი—მოკლე და მკვეთრი— რომელშიაც რაღაც იმალებოდა, უთქმელი, უცხოსათვის არ-გასამხელი და გამოუცნობი, გაძლიერებულ ჟინით აქეზებდა ჩემს ცნობის-მოყვარეობას.

თუმცა მრავალ-გზით განვიზრახე მისი ვინაობის გაგება, ბევრჯელ ისე მოვრთე საუბარი, რომ იგი იძულებული იყო ეთქვა, რამ თავის შესახებ, მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩამიარა: მოხუცი ყოველთვის ახერხებდა გალალვას და სიტყვის ბანზე აგდებას.

— დიდი ხანია, რაც მთაში სცხოვრობთ?

მოხუცმა უნდოდ შემომხედა. თითქოს იგრძნო საფრხის მოახლოვებაო, გადასახტომად მომზადებულ ნადირივით შეიკუმშა.

— აქაური ვარ, ზეგნელი... ალბად გაგიგონება... მარა... უთუოდ მომხეული იქნები—უცებ გადამიქართულა სიტყვა—მართალია საიმისოს ვერას მოგართმევ, მარა „მცირესა ზედა სარწმუნო იყავნ“, აგერ მჭადს ვაფიცხებ, ცოტაოდენ ლობიოსაც ვიშოვი... ღვინოზე ნურას უკაცრავად, ყმაწვილობაში ძალიან მიყვარდა, მარა ახლა...

თუმცა ძლიერ მშიოდა, მაგრამ ქართული ჩვეულებისამებრ მადლობა გადავუხადე და ჯავუარდი. მოხუცი თავისას არ იშლიდა: ნელ-ნელ წამოდგა, ჭრაქს მოუკიდა, წისქვილს დახედა და პატარა ხელ-კალათით მოიტანა მჭადები, ქოთნით ლობიო და ცოტაოდენი მწვანილი.

— რაღაი აგრეა, აი ჩემი ნანადირევი გავაკეთოთ და ვივახშმოთ!

მივმართე მე.

იგი ერთ წამს შეჩერდა, თითქოს რაღაცას იგონებსო, და მერე დამეთანხმა.

— კარგი, ძალიან კარგი.

რამდენჯერმე გაიმეორა მან და ისევ წისქვილში შეძვრა.

ცოტა ხნის შემდეგ შამფურზე აგებული გვრიტები წიფლის ცეცხლზე იბრაწებოდნენ. მოხუცს ისე ეხერხებოდა მზადება, რომ ცხადი იყო კარგად იცნობდა უქალო ოჯახობას.

ატრიალებდა შამფურს და სდუმდა. სდუმდა, მაგრამ დუმილი იგი უცხო იყო, არა ჩვეულებრივი: როცა თვალს გამისწორებდა, ვიცოდი, რომ თუმცა მიცქეროდა, მაგრამ ვერ მხედავდა, რადგან მისი გონების თვალი სადღაც შორს ილტოდა, სივრცისა და ჟამის გარეშე სჭვრეტდა რაღაც საგანს, მხოლოდ მისთვის ხილულსა და საცნაურს. დრო და დრო პირს ისეთი მშვიდი იერი გადაეკვროდა ხოლმე, რომ გეგონებოდა იღიმებაო, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენება იყო. ნამდვილად კი მოხუცი თავის თავს ემუსაიფებოდა—უხმო, უსიტყვოდ—და შინაგან სიტყვა-პასუხის სადასტურიოდ სახეც უნებურად შესაფერ ქცევით ეცვლებოდა ხოლმე.

„განდეგილია, ნამდვილი განდეგილი—ვიმეორებდი უხმოდ და თვალს ვეღარ ვაცილებდი—ნუ თუ ვერ გავიგებ მის ვინაობას და სამუდამოდ გამოცანად დამრჩება“.

საკვირველი უფრო ის იყო, რომ არც თვითონ მკითხავდა ვინაობას, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, ვინც უნდა ვყოფილიყავ: მონადირე, უბრალო მგზავრი, თუ საშიში ავაზაკი.

— მაშ, აქაური ბრძანდებით!

მოხუცმა წარბი შეიკრა. მისი დაეჭვიანებული თვალები თითქოს საყვედურით მეუბნებოდნენ: რა არის, ღმერთმანი, რას ჩამაცივდი,— შენთვის სულ ერთი არაა, სადაურიც უნდა ვიყო?

— ზეგნელი არა?

აღარ ვუსვენებდი მე.

— დიახ, ზეგნელი!

თითქმის წყრომით მომიგო მან.

— გამიგონია, რომ ზეგანი მდიდარი სოფელია.

— სიმდიდრე გარჯისა და მუყაითობის შვილია, ზეგნელებს ერთიცა და მეორეც არ აკლიათ!

— ეს წისქვილი თქვენი საკუთრებაა, თუ?..

— არა.

— მაშ, ვისი?

— სასოფლოა. აი, ამ სერს გადაღმა პატარა სოფელია—საყავრია

— კი, მაგრამ თქვენც ხომ გიძევსთ შიგ წილი?

— არა. მოგეხსენება, ხელ-მოკლე კაცის ყოფნა წყლისაგან აგორებულს ქვასა ჰგავს: სადაც მიასილავს, მინასაც იქ დაიცემს. მე მხოლოდ მემინდედ ვარ დაყენებული. ყოველს ოც სამინდეზე ერთს ვღებულობ და თავსაც მითი ვირჩენ.

მოხუცს რაღაც ცვლილება დაეტყო, თითქოს მუსაიფის გუნებაზე მოვიდა. მეც შევუხნდი და კითხვას კითხვაზე ვაძლევდი.

— ერთ სამინდესო, ბრძანებთ!

— დიახ, ერთს.

— მერე გყოფნისთ კი?

— ერთის ტუჩისთვის ისიც დიდია.

— როგორ... ოჯახი?

აღარა მიპასუხა-რა. ალბად მიხვდა საითკენაც მიმდინარეობდა ჩვენი საუბარი და გაჩუმდა. საიდუმლოება, რომელსაც სრულიად მოეცვა მისი ვინაობა, გაუტეხელი რჩებოდა. გუნება შემეცვალა.

„ღმერთო ჩემო—ვფიქრობდი მე— ნუ თუ ყოველი ცდა ამაოდ ჩამივლის? ვინ არის ეს გამოცანა-მოხუცი? ვინ არის ეს უთვისტომო განდეგილი, რომელსაც ამ ედემ ბუნების წიაღში ენა ჩავარდნია? მძიმე დამნაშავე თუა ვინმე, რომელსაც არ სურს შეანძრიოს გულის სიღრმეში მოხვეული დანაშაულობის მახილებელი ჭია—სინიდისი! ხომ არიან ისეთი დამნაშავენი, რომელნიც მთელი თავისი სიცოცხლე მუნჯივით სდუმან! იქნებ მიჯნურია—თავხედი გრძნობის ამყოლი—რომელსაც გაცრუებულ იმედის ჭვალი გულს დასობია და მისგან კრულს სიბერის ჟამს აქ მოუნახავს ნაწამებ სულის მყუდრო სავანე, მასზე მწყრალ ღმერთის სამლოცველო-საკურთხეველი! მაგრამ... ასეთები ხომ პირიქით თვითონ ეძებენ საკუ-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ N 134.

სუხის გებაში მისცენ. მისი ფორმულა უარჰყვეს 503 ხმით—75 წინააღმდეგ. შემდეგ მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების ფორმულა მიიღეს 388 ხმით 94 წინააღმდეგ.

სტამბოლი. სომეხთა პატრიარქი და საპატრიარქო საბჭოს წევრები სამსახურიდან გადადგნენ, რადგანაც სომეხთა პარტიებთან განხეთქილება მოუხდათ.

მონტევიდეო. ურუგვაიში რევოლუციის აფეთქებას ელიან. შეიარაღებული რევოლუციონერები ერთად იყრიან თავს. ტელეგრაფის მავთულები ყველგან დასწყვიტეს. მთავრობა საზღვრებზე ჯარებსა ჰგზავნის ბევრი ხალხი დაატუსაღეს.

პარიზი. კოკოვცევი ლიონში გაემგზავრა, იქიდან ავტომობილით რივიერაში წავა.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. სოციალისტ ვილმის საპასუხოდ, მინისტრმა ბარტუმ განაცხადა, რომ გაფიცვისა გამო არავინ არ გვიდევნია; სამართალში ვაძლევდით მხოლოდ იმათ, ვინც შრომის თავისუფლებას ხელს უშლიდა. რეინაკს ამხანაგები უსაყვედურებენ, რომ იგი არ ეწინააღმდეგება უკანონო მოქმედებას, ისევე, როგორც დრეიფუსის საქმის დროს იქცეოდა. რეინაკი უპასუხებს, რომ რკინის გზის მსახურთა დატუსაღების უკანონობა არ დამტკიცებულაო. ჟორესი წინააღმდეგია გაფიცვის ჩასაქრობად გაფიცულთა ჯარში გაწვევისა, უარსაჰყოფს, ვითომც რაიმე შეთქმულება ყოფილიყოს; ცხარედ ილაშქრებს ვივიანისა, მილერანისა და ბრიანის წინააღმდეგ, და მოაგონებს მათ, რომ, ერთს დროს, აღთქმა მიეცით მუშებს საერთო გაფიცვის უფლებისათვის მათთან ერთად გებრძოლნათ; შემდეგ მოაგონებს ბრიანს, რომ იგი ერთს დროს საერთო გაფიცვის მოქადაგე იყო და დღეს მას ზნეობრივი უფლება არა აქვს გაფიცვის ჩაქრობისა. ჟორესი აღნიშნავს აგრეთვე, რომ მინისტრთა შორის უთანხმოებაა, რასაც შედეგად მოჰყვება ზოგიერთ მათგანის გადადგომაო.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. ჟორესის საპასუხოდ ბრიანი აცხადებს, რომ მინისტრთა შორის სრული თანხმობაა. საშინელი ხმაურობაა. ბრიანი ჰკიცხავს ჟორესს, რომ მთავრობას შეურაცხყოფა მიაყენა როცა ამტკიცებდა, ვივიანი მხოლოდ იმისთვის სტოვებს ადგილს, რომ ამხანაგები რკინის გზის საზოგადოებათა ყურ-მოჭრილ ყმებად გადაქცეულანო. ჟორესი პასუხს აძლევს ბრიანს, მაგრამ ესეთი ხმაურებაა, რომ მისი ხმა არ ისმის. ვივიანი აცხადებს, რომ თუ ბრიანს არ ვეთანხმებოდე, ამას პირდაპირ განვაცხადებდი, მაგრამ არის ისეთი მომენტიც, როდესაც ადგილის მიტოვება გაქცევას უდრის (ტაშის ცემა): ბრიანი სოციალისტურ გაზეთებზე უთითებს და აღნიშნავს, რომ შრომის თავისუფლების დასარღვევად გაზეთები მოუწოდებდნენო; საზოგადოებას კი არსებობის უფლება აქვს. ბრიანის აზრით, მან ქვეყანა გადაარჩინა ისეთის კანსაცდელისაგან, რომლის მსგავსი ამ 20 წლის განმავლობაში არა ყოფილა (ტაშის ცემა მარჯვნივ, ცენტრში და მემარცხენეთა ერთს ნაწილში. დანარჩენ სკამებზე დიდი აურ-ზაური და ხმაურობაა), კრება შესწყვიტეს და კვირისთვის გადასდეს.

რუსეთი

ვარშავა. პრივისლიანის რკინის გზის უფროსმა ბოდკოვნიკმა გესკეტმა ნეიდგარდტის განკარგულებით, რევიზი მოახდინა. 2000 საჩივარი განიხილეს. 17 მოხელეს საყვედური გამოეცხადა, ზოგი მდაბალ ადგილებზე გადაიყვანეს 48 სისხლის, სამართალში მისცეს,

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემიას“ რედაქტორი პასუხის გებაში მისცეს სისხლის სამართლის დებულებათა III მუხლის ძალით, რადგანაც მას დღევანდელს ნომერში მოყვანილი აქვს სამხედრო სამინისტროს ცნობანი.

სუმი. 8 შეიარაღებულმა ბოროტგანმზრახველმა გაძარცვა ქენიგის შაქრის ქარხნის კანტორა. წაიღეს 8000 მანეთი, დასჭრეს ერთი მოსამსახურე.

კლევენიდან 5 ვერსის მოშორებით, დაიწვა ორჟევსკის ხეტყის საწყობი და სახერხავი ქარხანა. ზარალი 200,000 მ.

ბაქო. 9 სპარსელი ყაჩაღი დაეცა სოფელ მარყიშლის და 4000 მანეთად ღირებული საქონლისა და აქლემების ჯოგი გაირეკა.

ჰელსინგფორსი. დათხოვნილ სეიმის დეპუტატად ნამყოფებმა ხელ-ახლა აღარ ისურვეს თავის კანდიდატურის წამოყენება, სხვათა შორის სენატორმა ელტმა, კოსკინენმა და სხვ.

იალტა. ბუხარის ემირი ბუხარისაკენ გაემგზავრა.

ახალი ამბები

ტფილისი

✦ **„საღამო-მეჯლისი“ ქართულს თეატრში.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, შაბათს, ქართულს თეატრში დანიშნულია „საღამო-მეჯლისი“ მორიგ წევრის ბ-ნ ალოიზ მიხინაშვილისა. საღამოს პროგრამა ძლიერ საინტერესოა: წარმოდგენილი იქნება მხიარული ოპერეტი ოფენბახისა „მეჯლისი იტალიელ ბითურს“, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ: ვასილ აბაშიძე, ტასო აბაშიძე, რომელიც პირველად გამოდის წრევანდელ სეზონში. სალიტერატურო განყოფილებაში ქართველი მსახიობნი წაიკითხავენ ლექსებსა და სცენებს. ბ-ნი იაკობ ნიკოლაძე დასდგამს ცხოველ სურათს გამოჩენილ მემუსიკე ბეთჰოვენის ცხოვრებიდან. დასასრულ წარმოდგენილი იქნება პოლიტიკური ბუფონადა „ბიუროკრატის სიზმარი“, რომელშიაც მთავარ როლებს ასრულებენ კ. მესხი, ვ. გუნია, ა. კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი და სხვანი. იმედია, ქართველი საზოგადოება სიამოვნებით დაესწრება ამ საღამოს, რადგან პირველმა საღამომ, გამართულმა ნ. ლორთქიფანიძის მიერ, მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა და ბევრი ხალხიც მიიზიდა.

✦ **რედაქციის გაჩხრეკა და თანამშრომლების დაპატიმრება.** შაბათს, 16 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, პოლიციამ გაჩხრიკა ქართულ გაზეთის „ახალი აზრი“-ს რედაქცია. რედაქციაში მყოფნი, რიცხვით 8 — 10 კაცი პოლიციამ დააპატიმრა და ამას გარდა გაჩხრიკა ყველა დაპატიმრებულის ბინა. როგორც გავიგეთ, არსად საწინააღმდეგო არა უპოვნიათ რა. დაიჭირეს გაზეთის ყველა ნომრები. ამ მიზეზით კვირას, 17 ოქტომბერს, გაზეთი აღარ გამოსულა. თანამშრომლების დაპატიმრებისა გამო, გაზეთი არც დღეს გამოდის.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სევასტოპოლში სამხედრო სასამართლოს ჩამოხრჩობა გადაუწყვეტია. ხიზანაშვილისა და სირაძისათვის მათ ჰბრალდებათ თურმე მეარტელეზე თავდასხმა.

✦ **მაზრის უფროსის თანაშემწის მოკვლა.** როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში მოუკლავთ ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწე მახარაძე. განსვენებული ოზურგეთში ამას წინად დანიშნეს. ნაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მიგვიღია.

✦ **„606“ ტფილისში.** 17 ოქტომბერს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრებაზე ექიმებმა დიასამიძემ, ალაჯანოვმა და ისთამანოვმა დამსწრეთ უჩვენეს ათაშანგით ავადმყოფნი, რომელთაც ისინი არჩენენ პროფესორ ერლიხის „606“-ით. ერლიხის პრეპარატს ყველა ავადმყოფისთვის ურგია და მორჩენის გზაზე დაუყენებია.

✦ **იურიდიულ საზოგადოებაში.** 29 ოქტომბერს მოჰხდება ტფ. იურიდიულ საზოგადოების წევრთა საერთო კრება. კრება მოისმენს ა. ე. სტრელბიცკის მოხსენებას: „მიწის საკითხი ზაქათალისა და დაღესტნის ოლქებში“. კრებაზე მოწვეულნი არიან წევრთა გარდა მიწის საკითხის მცოდნე პირნი გადამწყვეტის ხმით.

✦ **ტრამვაის დირექტორის განკარგულება.** დღემდე ტფ. გუბერნატორმა ბევრი პირი დააჯარიმა ტრამვაის ვაგონზე შეხტომისთვის, მაგრამ ამ ზომამ არ გასჭრა. ახლა ტრამვაის დირექტორმა ბელიომ გამოსცა ახალი ბრძანება, რომლითაც კონდუქტორებს ავალებს: თუ გაქანებულ ვაგონზე შემოჰხტეს ვინმე, ვაგონი გააჩერეთ, ბილეთი არ მიჰყიდოთ ასეთ მგზავრს და ზრდილობიანად, მხოლოდ გადაჭრით უთხარით, რომ ვაგონიდან გადახტესო; თუ ეს თხოვნა არ შეასრულოს, მაშინ პოლიციას გადაეციოთ.

✦ **გამოფენა.** კვირას, 17 ოქტომბერს, ტფილისის „კრუჟოკის“ საზაფხულო შენობაში კავკასიის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების თაოსნობით გაიხსნა მორიგი მეოთხე გამოფენა ფრინველთა და ცხოველთა მოშენებისა. გამოფენა 22 ოქტომბრამდე გასტანს. გამოფენაზე შესვლის ფასია: დიდებისთვის --25 კაპ., ბავშვთათვის—10 კაპ.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 16 ოქტომბერს, თავის მოკვლის განზრახვით ნიშადურის სიმჟავე დალია ეკატერინე მიხეილის ასულმა ცხვეთაძისამ. მოწამლული მიხეილის სავადმყოფოში წაიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ამავე დღეს თავის მოკვლის განზრახვით მთვრალმა ჩაფარმა ათანასე კლოდინმა რევოლვერით მსუბუქად თავი დაიჭრა.

✦ **რედაქტორის საქმე.** გუშინ ტფ. სასამართლო პალატაში გაირჩა საქმე „სახალხო გაზეთი“-ს რედაქტორად ნამყოფის დარია ხრამელაშვილისა, რომელიც პასუხის გებაში იყო მიცემული სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების მე-129 მუხლის ძალით. პალატამ ქ-ნი ხრამელაშვილის ბრალდება ამ მუხლით უარჰყო და ბრალი დასდო ბეჭდვითი სიტყვის საგანგებო წესების დარღვევაში, რისთვისაც 50 მან. დააჯარიმა. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით ციხეში დააპატიმრებენ.

✦ **„დროების“ რედაქტორის საქმე.** აწ დახურულ ქართულ გაზეთის „დროების“ რედაქტორს ი. აგლაძეს ციხეში ჩააბარეს მეორე საბრალმდებლო ოქმი. ბრალს სდებენ სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების მე-129 მუხლის მეორე და მეექვსე პარაგრაფების ძალით, „დროებაში“ ვ. ჩერქეზიშვილის წერილების დაბეჭდვისათვის ამ სათაურით: „მწარე სინამდვილე“. საქმე გაირჩევა პალატაში 25 ოქტომბერს.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია „მიჯაჭვული პრომეთე“ ესქილისა, „ედიპე მეფე“ სოფოკლესი და „მედია“ ევრიპიდესი, ქართული თარგმანი ეკუთვნის ქართულის კარგად მცოდნეს პეტრე მირიანაშვილს, რაიც თავმდებია იმისა, რომ ეს წიგნი ენის მხრით სახელმძღვანელოდ გადიქცევა ჩვენის ახალგაზრდა მწერლებისათვის. წიგნი მოზრდილ ფორმატისაა, შეიცავს 168 გვერდს და ღირს 50 კაპ.

✦ **პოლიციელი სამართალში.** ტფ. პოლიციის ზედამხედველი ბელოზერსკი მისულა სახლში მეძავ ქალ ეფროსინე როდზევიჩისთვის და 15 მანეთი ქრთამი უთხოვნია. ქალს ფული არ მიუცია და ამიტომ ბელოზერსკის ქალი დაუპატიმრებია. ამის გამო ბელოზერსკი სამართალში მისცეს.

✦ **ქართულის წარმოდგენის რეცენზია უადგილობისა გამო ხვალისთვის გადაიდო.**

ფრენა ტფილისში

პირველი გაფრენა უტოჩკინისა ტფილისში მოჰხდა 16 ოქტომბერს. ნაშუადღევის 2 საათიდანვე დიდძალი ხალხი გაემართა დიდუბის მოედანზე, სადაც ნაშუადღევის 3 საათზე უტოჩკინის გაფრენა იყო დანიშნული.

მოედანზე თითქმის ყველა ადგილები დაჭერილი იყო ხალხის მიერ. ყველა გულის ფანცქალით მოელოდა გაფრენილ კაცის დანახვას. ეს არც გასაკვირია. თუ წინად ჰაერი მხოლოდ ლაღ ფრინველთა სამფლობელო იყო, ახლა ადამიანიც ჰლამობს ცის არწივად გახდეს. ამის საბუთებს ბევრსა ვხედავთ.

ტფილელებმა ყველა ეს მხოლოდ გაგონით, გაზეთების საშუალებით ვიცოდით და ჯერ საკუთარის თვალით არ გვენახა ადამიანის ნავარდი განუსაზღვრელს სივრცეში. ამით იხსნება, რასაკვირველია, ის გულისფანცქალი და დიდი ინტერესი, რომლითაც გამსჭვალული იყო მოედანზე თავ-მოყრილი ხალხი.

სწორედ 3 ს. და 25 წამი იყო, როდესაც მოედნიდან უტოჩკინი ფარმანის სისტემის აეროპლანით პირველად აფრინდა. ხალხმა ის გაცხარებულის ტაშით დააჯილდოვა.

ავიატორი წრიდან გარედ არ გამოსულა, ჰაერში ავიდა 15—20 საჟენის სიმაღლეზე, მოხდენილის ფრენით წრეს სამჯერ შემოუარა და შემდეგ მოხდენილადვე მოედანზე ჩამოეშვა. ხალხმა მფრინავი კიდევ ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვა.

უტოჩკინი მეორედ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გაფრინდა—და თან წაიყვანა მგზავრი—პოლკოვნიკი კაზნაკოვი.

შემდეგ უტოჩკინი გაფრინდა მარტოკა, ავიდა 30—40 საჟენის სიმაღლეზე და წრის გარედ გამოვიდა მტკვრის მხარეს. აქ შნოიანად შემოტრიალდა, მარდად გამოფრინ-

---

თარ ჰმუნვათა მოზიარეს და სიხარულით ეგებებიან ყველას, ვისთანაც გულის გადაყოლება შეუძლიანთ. მაშ, ვინ არის? ვინ?..“

მოხუცი წყნარად ატრიალებდა შამფურს და ეტყობოდა, სრულიად არ მამჩნევდა.

— მგონი აღარ უნდა აკლდეს? ძლივს გასაგონად წაილაპარაკა მან და შამფური სინათლეს მიუახლოვა.

— ცოტა განელდეს. ცხელი გვრიტის ხორცი, ისე როგორც ცხელი თევზი, მაწყინარია.

შამფური განზე დაასო, ცეცხლი ოდნავ შეახვია, მერე ყალიონი გაიქეთა და მადიანად აბოლა.

სწევდა ყალიონს და სდუმდა.

სდუმდა გარემოც. სიოც კი არსად იძვროდა. მხოლოდ მუდამ ფხიზელი, მუდამ თვალ-ღია ცა დედაშვილურ სიყვარულით დაჰყურებდა მის წიაღში მიძინებულს ტურფა ბუნებას და მარგალიტივით კამკამა ნამით ნაზად უსველებდა საამურად აშლილ კოჩორს, რომ დილა-ადრიან ცელქ ნიავს არ გასჭირვებოდა მისი დავარცხნა.

დიდხანს ვისხედით ასე უხმოდ, ვით დამდურებულნი. არ ვიცი, რას ჰფიქრობდა ჩემი მასპინძელი, ხოლო ჩემს თავში ათასი სხვა და სხვა გვარი აზრი ელავდა, მაგრამ ყველა მხოლოდ ერთსა და იმავე საგანს დასტრიალებდა: ვერ მიმხვდარიყავ თუ რა დამოკიდებულება სუფევდა წელანდელ უცნაურ ძახილსა და ამ ახირებულ მოხუცს შორის. ვგრძნობდი კი, რომ რაღაც იდუმალი ძაფი უხილავის ძალით აკავშირებდა მათ, მაგრამ გონება ნაგრძნობს ვერ მისწვდომოდა და ამიტომ გული საშინელ ტკივილით მიფეთქდა; თანაც ასეთი უცნაური ქცევა ჩემის მასპინძლისა: საგანგებოდ ნაძალადევი დუმილი და გულჩახვეულობა, თითქოს დასტურს ეუბნებოდა ჩემს ეჭვიანს ალღოს.

— მაშ თქვენ ცოლშვილი არცა გყავსთ?

გადაჭრით შევეკითხე.

თითქოს უნებურად წამოსცდაო, მან მოწყვეტით მიპასუხა:

— არა.

— არც გყოლიათ?

მოხუცს უნებური კვნესა აღმოხდა. მთელი მისი არსება რაღაცნაირად შეიკუმშა, მოიხარა, ვით მინდორში მარტო მდგომარე ხე ქარიშხალის მოლოდინში. თავი დაბლა დახარა, ჩამქრალი ყალიონი ქალამნის წვერზე დაირეკა და თითქმის ჩურჩულით წაილაპარაკა:

— აბა რა საკითხავია! მყავდა... როგორ არ მყავდა! მარა...

მან ორივე ხელი ზეცას აღაპყრო, თვალები გადაჰკარგა და ღაღადით წარმოსთქვა:

— ღმერთო, თუ სადმე შენი სამართალი, რად დაამწუხრე **მისი** საცოდაობით ჩემი გაჯახირებული სიბერე? რადა? რადა?

თვალები ცრემლით აევსო, მწუხარებისა და სიბერისაგან დაღარულ ლოყებზე ღვარად ჩამოსდინდა იგი. გულის სიღრმიდან დაძრული ვაების გორგალი ყელს მიებჯინა და სიტყვა წაართვა. იჯდა თავჩაქინდრული და მთელი ტანის ძაგძაგით მწარედ სლოკინებდა.

სული ამემღვრა მის მწუხარების მნახველს. მინდოდა, სანუგეშო მეთქვა რამ, მაგრამ რაღა ნუგეშისცემა შეიძლება იმ დროს, როცა მამაკაცი გულამომჯდარი ქვითინებს.

დიდ ხანს სტიროდა. ბოლოს, როგორც იქმნა, ცოტათი გული მოიოხა. ცრემლით დაუშრეტელი ვარამი ენას გამოათქმევინა და ასე დაიწყო:

— ნუ გაგიკვირდება ჩემი საქციელი! ადამიანის წუთი-სოფელი სიზმარია, უხიაგი სიზმარია: ზოგს ავად აუხდება, ზოგს კარგად. აი ჩემი გასაწყლებული თავი: ხელ-მოკლე კაცის პირობაზე მეცა ვცხოვრობდი. მართალია უფალმა სიმდიდრე არ მომცა, მაგრამ გაჭირვებული ლუკმა სხვისაგან მაინც არ მქონია დამადლებული. ერთი მუჭა ადგილი დამრჩენოდა ძველებისაგან, იმას ჩავკირკიტებდი, ხან ალმა ვხნავდი, ხან დალმა, მტერიც იმის შემჩერე იყო და მოყვარეც. ვცხოვრობდი ასე და ღმერთს ვმადლობდი მის მოწყალებას, მაგრამ... ეშმაკი შემიჩნდა... მხარი მომიქცია: ცოლი შევირთე. ღარიბი ღარიბს აეკიდა, ორივე ღატაკი შეიქმნაო, ისე დამემართა... რაც ერთ ტუჩს ყოფნიდა, ორს აღარ ეყო. ცოლი შინ დავტოვე, მალე მოჯამაგირედ დავდექი, მაგრამ ხომ მოგეხსენება, ცალი ხარი უღელს მარტო ვერ გასწევს... ჯაფისაგან წელ მოწყვეტილი ცოლი მუცელს გადაჰყვა და სანაცვლოდ ერთი ქალიშვილი დამიტოვა... ის ერთი ნაჭერი მიწა მიცვალებულის გასვენებასა და სამკვდროს მოუნდა. დავრჩით მამაშვილნი მშრალზე, მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხდი... ვაი ჩემს ყოფნას!... შევჩერებოდი იმ ობოლს აღდგომის კვერცხივით, მზემთვარე იმაზე ამომდიოდა, ისე ვუვლიდი, ცივ სიოს არ ვაკარებდი... როცა წამოიზარდა, მხარში ამომიდგა, შრომითა და მხნეობით დღეის მაგიერობას აპირებდა. ის სოფლის ცხვარს უდგა, მე ისევ სხვის კარზე ვიყავი. პირი მეცინოდა ამდენ ვაივაგლახის გადამტანს, როცა იმას ვხედავდი: დაქალდა, გასათხოვარი შეიქმნა... ვაი მის გამადლებულს მამას!.. თურმე ღმერთს სხვა უნდოდა... რამდენი კაი ბედი მოგვდგომია კარს, მაგრამ ის ცხონებული სულ უარსა და უარს იყო. ერთ ხანს ისე გუნება, რომ ადამიანის შვილს აღარ გავდა: არც სჭამდა, არც სვამდა, ჩამოხმა, ჩამოყვითლდა ბიასავით... დაჯდებოდა ისე განზე ტუჩ აკრული და რაღაცას ჰფიქრობდა. რა ვიცოდი მე დასამიწებელმა, თუ თვალი მიბნელდებოდა...

მოხუცმა ველარ მოითმინა: გაშლილი ხელი მძლავრად ითხლიშა შუბლში და ცრემლად დაინთქა. გული ამიყუჩდა. მეც უნებური ცრემლი წამომედინა.

— რა ვიცოდი, რა ვიცოდი— ქვითინით განაგრძობდა იგი—მთელი ქვეყანა მოვიარე მის სამკითხაოდ. არაფერმა არ უშველა. ხელი აიღო დალოცვილმა ღმერთმა... ერთი ექიმი ქალი მასწავლეს, ვთქვი: გულში ეკლად არ ჩავიტან, ამასაც ვშანჯავ მეთქი. გავსწიე წამალზე, რომ დავბრუნდი... აღარ იყოს შენი ავის მდომელი... აღარ იყო ჩემი სისაწყლეში გამოზრდილი გოგო, ჩემი ცეცხლის დამგზნებელი... ამ მთის კოჩორზე პატარა მინდორია, თამარის ნასუფრალას ეტყვიან... იქ ენახოთ მწყემსებს... მკვდარი.

ამ სიტყვებზე მოხუცმა უბეში ხელი ჩაიყო და მოწიწებით ამოიღო რაღაც გახვეული.

— აი... ამ სარტყლით თავი ჩამოეხრჩო...

ცივმა ოფლმა დამასხა. მთელს ტანში, შიშის ბურძგლებმა დამიარა და დამთხვეულივით ამაკანკალა, მივხვდი. საშინელი ალღო სინამდვილედ მექცა: ის სარტყელი ჩემი იყო!

სამიოდე წლის წინად ნადირობის დროს ხშირად ვხედავდი ხოლმე ფეხშიშველა გოგოს, რომელიც მთის ფერდობზე ცხვარს აძოვებდა. საუცხოვო რამ არსება იყო ეს ბუნების შვილი: მკვირცხლი, ვით მთის ირემი და მასავითვე მოქნილი და მოხდენილი. ლამაზი არ იყო, მაგრამ მთელი მისი აგებულება ხელუხლებელი, ქალწულებრივ სინაზე-სინორჩით ქშინავდა, როგორც მთის ანკარა ნაკადის პირად აღმოცენებული თეთრი ონტკოფა (ყვავილი).

დამინახავდა თუ არა, ცხვარს შეუძახებდა, ტყეში შერეკდა, გაჩერდებოდა ჩემს ახლო და იცინოდა, იცინოდა უმიზნოდ, მხოლოდ სიცილისათვის.

ისეთი სიცილი მხოლოდ უმანკო სულსა და უცოდველს ხორცს შეუძლიან!

მეც დავჯდებოდი ხოლმე მიუშორებით და ვუცქერდი. ვუცქერდი და ვსდუმდი, რადგან მისის ენით ბაასს ვერ ვახერხებდი. იგი კი— მთის ჩიტივით წამში ათასჯერ გამოიცვლიდა კილოს და ტიტინებდა დაუსრულებლად...

რას ამბობდა? რაზე მემუსაიფებოდა?

მზის ამოსვლასა და ჩასვლაზე, მთის ლაღსა და უდარდელ ცხოვრებაზე, ცვრიან ბალახსა და სურნელოვან ყვავილებზე—ვინ იცის რას არ მოიგონებდა!

ვუსმენდი მის ჭიკჭიკს და თან ვფიქრობდი: „წმინდა და მსუბუქია, ვით ზეცის რეკა მისი ხმა, მაგრამ... აი, მკერდი გამოზიდვია, ძუძუებიც აკოკრებულან: საშიში ასაკია!“

რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ისე შევეთვისეთ ერთმანეთს, როგორც მოსიყვარულე და-ძმა.

ერთ საღამოს წყაროსთან ვნახე— ფეხს იბანდა ცივის წყლით. დამინახა, თუ არა, ფიცხლავ წამოხტა და ტიტველი ფეხები კაბის ქვეშ დამალა. მისალმებაზე ოდნავ თავი დახარა, წამოწითლდა, თითქოს რაღაცის შერცხვა.

არ მიამა მისი ასეთი ქცევა. როცა ვაგრძნობინე ჩემი უკმაყოფილება, უარესად დაიბნა.

ერთხანს ვითომ სცადა ძველებურად შეხვედრა: თვალი თვალში გამიყარა და გულიანად გადიკისკისა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ის სიცილი სულ სხვა იყო, სრულიად აღარ ჰგავდა უწინდელ უმანკო, გულუბრყვილო ბავშვის ხითხითს.

მასში ქალი იღვიძებდა!..

გამოთხოვებისას ჩემს აბრეშუმის ქართულ სარტყელზე თვალი დარჩა და მეც აღარ დავიშურე იგი მისთვის.

მას უკან აღარ მინახავს და, როცა მოხუცმა ცრემლით მიამბო მისი ტრაგიკული სიკვდილის ამბავი, იგი მოზარეთა ხმასავით ჩასწვდა ჩემის სულის სიღრმეს.

„მაშ, შენ მეძახდი წელან, ტყის ფერიავ, უდანაშაულო მსხვერპლო უცნაურ სიყვარულისავ?! ნუ თუ— ვფიქრობდი სულ-აღშფოთებული— ნუ თუ ისე ძლიერია გრძნობა სიყვარულისა, რომ სამარეშიაც კი ვერ ისვენებს მისი მსხვერპლი და სპობს სიკვდილს, მარადისობად ქცეული კვლავ იდუმალობის სახით ევლინება სააქაოს?!..“

მთის გადაღმა რიერაჟი დაძრულიყო. ხევში ჩამოვარდნილი ცელქი ნიავი საკრულას ტალღებზე ჰგორავდა და მის რაკ-რაკთან შერთული საზეიმო ჰიმნს უგალობდა ზენაარს. გულ ამომჯდარი ქვითინიკი უბედურ მამისა მხოლოდ ადამიანთა ცხოვრების ტრაგედიას მოუთქვამდა...

ჭ. უმბაძე.

და მოედნისაკენ და თავის აეროპლანით, როგორც საზღაპრო დიდი ფრინველი, ჩამოეშვა მოჯადოებულ ხალხის წინაშე.

ამის შემდეგ აეროპლანში უტოჩკინმა ჩაისვა ქალი—ბარონესა ბეალი, და ორჯელ გაფრინდა.

ყველაზე საინტერესო და მოხდენილი იყო მეშვიდე (უკანასკნელი, გაფრენა. უტოჩკინი ახლა უფრო მაღლა (50—60 საჟ.) აფრინდა, წრის გარედ გამოვიდა, მკვირცხლად გაინავარდა ჰაერში და ჩამოეშვა ძირს.

ფრენა ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე დასრულდა.

მეორე გაფრენა უტოჩკინისა მოხდა კვირას, 17 ოქტომბერს, ფრენა დანიშნული იყო 2 საათისთვის, მაგრამ 12 საათიდანვე იმდენი ხალხი გაემართა მოედნისაკენ, რომ ტრამვაის ვაგონებში ვერც ერთს თავისუფალს ადგილს ვერ შეხვდებოდა ადამიანი. ეტლები და ავტომობილები ხომ სანთლით მოსაძებნი იყო. ბევრი ცნობის მოყვარე: მდიდარი და ღარიბი, ახალგაზრდა და მოხუცი, ქალი და კაცი იძულებული იყო გოლოვინის პროსპექტიდან და სხვა უფრო დაშორებულ ადგილებიდან დიდუბეში ფეხით წასულიყო.

ჯერ პირველი საათი არც კი იყო, რომ როგორც ფასიანი ადგილები, ისე მოედნის გარედ მდებარე მაღლობები ხალხით გაივსო. ხეებსა და სახლის სახურავებზე დიდ-ძალი ხალხი იყო მოგროვილი.

დილიდან ცოტა სცრიდა, ხოლო პირველ საათის შემდეგ მშვენიერი და მზიანი ამინდი დადგა. ხალხში ხმა გავრცელდა, გუშინ აეროპლანი დაზიანდა და შეიძლება უტოჩკინი დღეს აღარ აფრინდესო, მაგრამ ხმები უსაფუძვლო გამოდგა.

ნაშუადღევის $3^1/_2$ საათი გახდა და ფარმანის სისტემის აეროპლანმა გუგუნი დაიწყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ჰაერში იყო და ხალხს თავს დასტრიალებდა.

მეორე აფრენაზე უტოჩკინმა ერთი ქალი აიყვანა და, როგორც გავიგეთ, ქალს შეჰშინებოდა, აეროპლანიც მალე დაეშვა ძირს.

მესამე გაფრენაზე უტოჩკინს აჰყვა ბარონესა ბეალი. იგი უშიშრად იჯდა და ხალხს მაღლიდან სალამს აძლევდა. ხალხი ვაშას შესძახოდა და თან სამხედრო მუსიკა უკრავდა რამდენსამე ალაგას.

რამდენჯერმე განმეორდა უტოჩკინის აფრენა, მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ უტოჩკინი დიდხანს არ გაჩერებულა ჰაერში. და არც მაღლა აფრენილა.

ბოლოს გამოაცხადეს: მოტორის დაზიანებისა გამო ფრენა აღარ იქმნებაო.

ხალხი დაიშალა.

მოწერილი ამბები

ს. გურჯაანი. (კახეთი) ისეთს დიდს სოფელს, როგორც გურჯაანია (800 კომლი), სამართლიანობა მოითხოვს, რომ ხეირიანი მამასახლისი ჰყავდეს. ეხლანდელი მამასახლისი მიხა ჯოხაძე ამ ადგილზედ რომ შეუფერებელია (სრულებით წერა-კითხვის უცოდინარია) არავისთვის დასამალი აღარ არის, მგონი უკვე დარწმუნებულია და თვით ბ-ნი მომრიგებელი შუამავალიც. გურჯაანში ხეირიანი მამასახლისი ბევრს რამეს კარგს გააკეთებს. გურჯაანელებს 7,000-8000 მანათამდე საერთო ფული აქვთ, ამ ფულს ღონივრულად მოხმარება ეჭირვება. სოფლის ადგილები ზოგიერთ ადგილობრივ ვაჭრებმა ჩაიგდეს ხელში თვითნებურად. არავინ იცის, რამდენი ადგილი აქვს სოფელს საერთო. აგერ 15 წელიწადია მოვაჭრე ძმ. ბადასაროვებს სოფლის ადგილი უჭირავთ და ხმის ამომღები არავინ არის. სასოფლო შენობას სამკითხველო-წიგნთსაცავისათვის ადგილის უქონლობის გამო სადღაც კუთხეში აგებენ. ერთის სიტყვით, კარგის მამასახლისის ღონივრული მზრუნველობა სოფელს აკლია და ამის გამო სოფელი დიდს გაჭირვებაშია.

გურჯაანში ქიდაღიდან მომრიგებელ სასამართლოს გადმოტანის შესახებ ჭკვიანი შუამდგომლობა არის წასული—სადაც ჯერ არს. მართლაც და სადაც სამართალია, მომრიგებელი სასამართლო გურჯაანში უნდა იყოს, როგორც ამ სამოსამართლო ნაწილის შუაგულში. საზღვრებად სოფლები ჩაილური და ლელიან ხოშატიანია. ჩაილურიდან მოკლე გზით ქიდაღამდის 15 ვერსამდის არის, ხოლო ხოშატიანიდან—26 ვერსი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ 15 ვერსით დაშორებულია მხოლოდ 300—400 კომლი და 26 ვერსით-კი 2,000 კომლი. ამას გარდა წინა მხარში, (როგორც გურჯაანსა და ველისციხეს უწოდებენ) 7000-კომლია, როდესაც უკანა მხარში 2000 არ აღემატება. თქმა არ უნდა, რომ რაკი ყველა უპირატესობანი გურჯაანსა აქვს, მომრიგებელ სასამართლოს გადმოტანა არ გაძნელდება.

იმ ხმამ, რომ კახეთის რკინის გზა გაჰყავთო, გურჯაანელნიც დააფეთურა. ყველა მემამულენი ერთხმად დაეთანხმნენ ადგილების გამომსყიდველ კომისიას, რომ ფულის მაგიერ აქციები აიღონ. მაგრამ მთელი სოფელი ცოტა არ იყოს დაღონდა იმ გარემოებამ, რომ გურჯაანის ბოლოზედ მარტო ბაქანი იქნება და არა სადგური. რასაკვირველია, არ ესიამოვნებათ, 10—15 ვერსით დაშორებულ სადგურზედ საქონლის მიტანა. მგონი ეს ნაადრევი წუხილი გაიფანტება, როცა გაიგებენ, რომ ბაქანის სადგურად გადაკეთება ადვილი საქმეა და ყოველთვის შეიძლება.

ვენახები სულ დაიკრიფა. მოსავალი შარშანდელთან შედარებით კარგი იყო, ისე კი—საშუალო. ღვინოების ფასები ზომიერია: საპალნე 50—70 მანეთია.

ბურის მოსავალი ძალიან მცირე იყო. ალაზნის გაღმა ფილოქსერის გაჩენამ ჩვენს გლეხს ყურიც არ გააბერტყინა. ასე ადვილად არ დაიჯერებს, რომ იმის მწვანედ მოხასხასე ვენახი 2—3 წელიწადში გადახმება.

ამ ბოლო დროს მახლობელ ტყეებში ყაჩაღები გაჩნდნენ და გამვლელ-გამომვლელთ ფარაჯებსაც კი არ არჩენენ. **ვ. კარბელაშვილი.**

—

დ. ბორჯომი. კვირას, 10 ს ღვინობისთვისთვეს, მოხდა აქ საზოგადო კრება ყველა წევრთა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ბორჯომის განყოფილებისა. კრებას დაესწრნენ გარეშე პირნიც. განყოფილების თავმჯდ. ვლ. ყიფიანმა გააცნო კრებას მდგომარეობა განყოფილებისა, აღნიშნა უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნა, საჭიროება წიგნებისა და სასწავლო ნივთების საწყობის დარსებისა. დასასრულ წინადადებით მიმართა კრებას, აერჩია კომისია, რომელსაც უნდა განეხილა მოქმედება ძველის გამგეობისა.

საზოგადო კრებამ მოისმინა და დაამტკიცა უკამათოდ როგორც ამ წლის ანგარიში გამგეობის მოქმედებისა, ისე ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა.

ამის შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებით, თავმჯდომარის ამხანაგმა ნ. ჯომარდიძემ, გააცნო კრებას შინაარსი მისგანვე შედგენილ მოხსენებისა, რომელიც გაეგზავნა დიდს მთავარს ნიკოლოზ მიხეილის-ძეს. ეს მოხსენება იყო პასუხი იმ დეპეშისა, რომელიც იყო მიღებული დიდის მთავრისაგან. ამ მოხსენებაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბორჯომის განყოფილებას თავის მოქმედებაში არას გზით არ შეუძლიან არ დაუთმოს რუსულ ენას შესაფერი ადგილი: ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ თვის სახელმწიფო ენის უცოდინრად მას არა თუ არსად ფეხის გადადგმაც არ შეუძლიან, არამედ რუსული ენის უცოდინრობით მას არ შეუძლიან შეითვისოს საზოგადოდ ევროპიული კულტურა“.

შემდეგ ამისა, კრებამ მოახდინა არჩევნები: განყოფილების თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. ჯომარდიძე; გამგეობის წევრებად: ლ. მოისეევისა, მ. ზურაბაშვილი, მ. ქიმერიძე, დ. ქიტიაშვილი. და ზ. დანელია; სარევიზიო კომისიის წევრებად: ზ. კეკნაძე, ს. ხუციშვილი და ციხითარიშვილი; ხოლო დამხმარებელ კომისიის წევრებად ქ-ნნი: მ. მესხიშვილისა. თ. ხმალაძე, ნ. ყიფიანი, მ. ჯომარდიძისა და მ. ჯომარდიძე.

ახალმა თავმჯდომარემ განყოფილებისამ ნ. ჯომარდიძემ თავის პატარა მგრძნობიარე სიტყვაში მადლობა გადუხადა საზოგადოების თავმჯდომარედ ნამყოფს, ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბორჯომის განყოფილების დამაარსებელ ვლ. ყიფიანს, თავმდაბალსა და საზოგადოებისთვის სასარგებლო მუშაკს. სინანული გამოთქვა, რომ ეს მუშაკი სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო იძულებულია დასტოვოს ბორჯომი.

თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა კრებას, აირჩიოს ვლ. ყიფიანი საზოგადოების საპატიო წევრად, ეს წინადადება საზოგადო კრებამ ერთხმად მიიღო. **დამსწრე.**

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. კაი ხანია, გვესმის სანუგეშო ამბები ჩვენის ახალგაზდა მემუსიკის ბ ნ ფოცხვერაშვილის სამუსიკო ნიჭისა და უნარის შესახებ. რუსეთში, მრავალ ადგილას გამართულმა კონცერტებმა, მიიქცია უცხო საზოგადოების ყურადღება, ყველგან კმაყოფილებით და ღირსეულის ტაშისცემით ეგებებოდნენ ამ ჩვენს თანამემამულეს.

ბევრი ჩვენთაგანი სიამოვნებით მოელოდა იმ შემთხვევას, როცა ამ უცხოეთში ნაქებს ახალგაზრდას თვითვე ნახავდა და ისიც თავისსავე სამშობლოში, სადაც მის ფრენას, მის სულიერს ძალას კიდევ უფრო მაგრად უნდა გაედგა ფესვი, ამაღლებულიყო, აღორძინებულიყო.

მართლაც, ეს ექვსი თვეა, რაც ბ-ნი ფოცხვერაშვილი საქართველოში დაბრუნდა და ტფილისის საზოგადოებამ მალეც მოისმინა და გვონებ ჩვეულებრივადაც მოიწონა ვიდეც მის მიერ გამართული კონცერტები.

ქუთათურებს გული სწყდებოდათ. ბევრიც ხმამაღლა საყვედურობდა, რა არის აქამდე კონცერტს არა მართავსო, და მართლაც დაუბოლოვებელი ლოდინი დამთავრდა.

ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს ქალაქის თეატრში დაინიშნა წარმოდგენა—კონცერტი. საკონცერტო განყოფილებას საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი ამ საღამოს და ამიტომ არც გასაკვირველია, რომ დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

მაგრამ დახეთ ჩვენი დროის სიმახინჯეს! ამ ჩვენს კურთხეულ ქალაქში, სადაც 45.000 მცხოვრებია ქართველი და ორ კაცს ვერ ნახავთ ისეთს, რომ წარა-მარა ქართულად არ დიდინებდეს, ბ-ნმა ფოცხვერაშვილმა ვერ იპოვა ისეთი სამღერო ძალები, რომ საკონცერტო ხორო და ორკესტრი შეედგინა.

დაჰპირდნენ, იმედი მისცეს, საზოგადოებას ცნობის მოყვარეობა გაუღვიძეს და კონცერტის წინ დღისით, ან უკეთ რომ ვთქვათ, თვით კონცერტის საღამოს ბ-ნ ფოცხვერაშვილს უღალატეს—ყელი გამოსჭრეს!

აღარც ხორო, აღარც ორკესტრი! მართალია, კონცერტის მეთაურმა საზოგადოების წინაშე ბოდიში მოიხადა, და მწუხარებით აღნიშნა, რომ პროგრამა ვერ შევასრულე, რადგანაც ჩვენში ვინც კი ნახევრად ისწავლის უბრალო „მრავალ-ჟამიერს“ თავი დიდებულ მომღერლად მოაქვს და რუმბივით იბერებაო, მაგრამ სამწუხარო ფაქტი მაინც ფაქტად დარჩა.

დაუკვირდი მკითხველო, ამ მოვლენას. იქ, უცხო მრავალ უცხო ტომთა დახმარებით უფრო ადვილად აღწევს კაცი მიზანს, ვიდრე აქ შინსავე სამშობლოში, შინაურების წყალობით და შემწეობით.

ააჭრელა თვალები პაწია აფიშეებმა: „უკვე შესდგა მამა კაცთა ხორო, ეხლა საჭიროა ქალების ხორო და მსურველთ ვიწვევთო; მერე სად იყო, რას აკეთებდა ეს უკვე შემდგარი გუნდი?

სირცხვილი, უზომო სირცხვილი მათ, ვინც ხელი შეუშალა კონცერტის განხორციელებას და ამით დამსწრე საზოგადოებას მოსტაცა უდიდესი ნაწილი მოსალოდნელის ესტეთიურ სიამოვნებისა!

ყველა ამის შემდეგ კიდევ გვიკვირს, როგორ შერჩა ბ ნ ფოცხვერაშვილს გული საგულეს და დადაგვატიური „პირამიზე“. ეტიუდი აზრით და შინაარსით საზოგადოებას მოეწონა მხოლოდ ასრულებით ფერმკრთალი იყო.

არ ვარგოდა ხორო, ნამეტნავ ქალებისა, ზოგი მათგანი კი არ მღეროდა—ყიოდა. ეს ალბათ ისე, ალაღ-ბედზე შეურიდი ჯგუფი იყო. ბ-ნ კორიშელის გარდა არც ერთი სცენაზედ გამოსვლები არ იყო. ორკესტრის ნაცვლად აკომპანიმენტის როლს „ფისჰარმონია“ ასრულებდა...

„პირამიზეს“ უძღოდა წინასიტყვაობა ბ-ნ გ. ნათაძისა, რომელმაც აუხსნა დამსწრეთ საზოგადოდ აზრი სიმბოლიური ნაწარმოებისა და კერძოდ შინაარსი პირამიზისა. მოგვეწონა წინასიტყვაობის დასასრული.

ამის შემდეგ ითამაშეს „აშენდა საქართველო“. სიცილი ბევრი იყო, თამაშის მხრივ სუსტად ჩაიარა. ბ-ნი ურუშაძე „ქეიფზე“ ვერ იყო როგორც ამ საღამოს ჩვეული უკეთესი ივანიკა გვინახავს. სულ არ უხდებოდა ევროპიული ტანისამოსიც. ახალუხით რომ გამოსულიყო სცენაზედ უფრო რეალური გამოვიდოდა.

კარგი იყო ბ-ნი არაბიძე მოხუცის როლში, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე აზნაურობის ხარისხს დაეძებს სხვა დროს კი ვურჩევთ გადამეტებულ ზედაზედით ნუ გასჭიანურებს ხოლმე სიტყვებს. საზოგადოდ ამ მოთამაშეს ძალიან უყვარს „გაღობა“ დაპარაკის სახით.

ბ ნ შენგელიას ეტყობა უტყუარი სასცენო ნიჭი. იგი ხშირად გვინახავს ხოლმე რუსულ წარმოდგენებში. ქართულში-კი აგერ აგერ ახალ მთვარესავით გამოჩნდება ხოლმე.

ნუ გაიხდით დედინაცვლად ქართულ სცენას, ბ ნო შენგელია, თუ თქვენ სერიოზულად ჰფიქრობთ, სცენაზედ სამსახურს და არ გინდათ დაშარხოთ ის ქანქარი, რომელიც ალბად თქვენში მოიპოვება, **ჯაფარ-ფაშა.**

რევოლუცია პორტუგალიაში

ჩხრეკა მეფის სასახლეში.

დროებით მთავრობის განკარგულებით, დაწვრილებით გასჩხრიკეს მეფის სასახლე. იპოვეს ქაღალდები, საიდანაც სჩანს, რომ ამელიასა და მანუელს ცნობები ჰქონიათ მოსალოდნელ რევოლუციის შესახებ და მიწერ-მოწერაც გაუმართავთ სხვა ქვეყნის მეფე-დედოფალთან, რომელთაც თურმე შველას სთხოვდნენ ამბოხების დროს. ამ მეფე-დედოფლის სახელს მთავრობა არ ასახელებს, მაგრამ ხმები დადის, ესენი არიან მარია-ქრისტინა და ალფონსო. ჩქარა გამოაქვეყნებენ ყველა საბუთს.

მანუელის რეზიდენცია.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, გაქცეული მეფე მანუელი ბრიუსელში დასახლებას აპირებსო. ბრიუსელში თურმე უკვე ეძებენ მანუელისთვის შესაფერს ბინას.

სოციალისტების კონგრესი მილანში.

უკვე დასრულდა მილანში სოციალისტების კონგრესი. გაიმარჯვა რეფორმისტულმა მიმდინარეობამ. გადასწყდა, ხელ-ფეხი არ შეიკრან მარტოოდენ კლასიურ ბრძოლითა და თავის პრაქტიკულ პოლიტიკის მიზნად სამშობლოს საერთო ინტერესებიც დაისახონ.

უცხოეთი

ფედერატიული მოძრაობა ინგლისში.

ამას წინად ლონდონში მუშაობა განაახლა საკონსტიტუციო საქმეთა განმხილველმა კონფერენციამ, რომელშიაც შედის ლიბერალურ მთავრობის ოთხი წევრი და ოთხიც კონსერვატორთა ბელადი. კონფერენციამ განსახილველი საქმე გააფართოვა და შიგ ჩაურთო ირლანდიის ავტონომიის (ჰომრული) საკითხი, რომელსაც დაუკავშირა საზოგადოდ მთელის შეერთებულ სამეფოს (ინგლისი, შოტლანდია, ირლანდია და უელსი) დეცენტრალიზაციის საჭიროება. გაზეთები დიდის თანაგრძნობით შეეგებნენ ამ ნაბიჯს. მათ მოჰყავთ ამის შესახებ ირლანდიელ ნაციონალისტთა ბელადის რედმონდის აზრი: „ჩვენი მოთხოვნილება ავტონომიისა—უთქვამს რედმონდს—არ ნიშნავს ჩვენს ჩამოშორებას ბრიტანიის იმპერიისაგან. ჩვენი სურვილია პირიქით იმპერიის კავშირთა გაძლიერება მართა-გამგეობის ფედერატიულ სისტემის საშუალებით. ჩვენ გადაჭრით მხარს ვუჭერთ ფედერატიულს იმპერიასა და, მივიღებთ თუ არა ავტონომიას, ყველანი დაინახავენ, რომ ჩვენი ერთგულება იმპერიისადმი ყოველს ეჭვს გარეშეა“. ამგვარივე აზრი გამოუთქვამს მეორე ცნობილს მოღვაწეს ოკონორსაც.

აქედან ვხედავთ, რომ ირლანდიელი ავტონომისტები ისევე ერთგული ბრიტანელი მოქალაქენი რჩებიან, რაკი თვით ბრიტანიისაგან თანაგრძნობა დაინახეს. ირლანდიელთა ამ ფედერატიულ მისწრაფებას იზიარებს ლიბერალი ნაწილი შოტლანდიისა, უელსისა და თვით ინგლისისაც.

ჩვენს წინ, მაშასადამე, ასეთი სურათი იშლება: დიდ ბრიტანიის კონსტიტუცია ფართოვდება, ინგლისის თვითმმართველობის სანუკვარი იდეა ხორციელდება და შორს არ არის ის დრო, როცა დიდ ბრიტანიის იმპერია მისის ახალშენებით, სადაც ავტონომიები უკვე შემოღებულია, შეიკვრის ჰარმონიულად თავისუფლებისა და ერთობის ფედერატიულ კავშირით.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—203)

ტფილის. გუბერნიის
თავად-აზნაურთა
წინამძღოლისაგან.

1895 წელს, 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმად, ტფილისის სათავადაზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დამაარსებლების მიერ ბანკის მოსაწყობად შეტანილ ფულის უკან დაბრუნების შესახებ, და 1910 წლის მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდებათა მე-7 მუხლის ძალით, ვაცხადებთ, რომ ის პირი, ვის ხელშიაც გადავიდა გადაცემითის წარწერით კვიტანცია იმისი, რომ ხორეშან აზნაუროვისამ ბანკის დასაარსებლად შეიტანა ოთხას-სამოც-და-ცხრა მანეთი და 28 კაპ. (469 მ. 28 კ.), მოვალეა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს წარუდგინოს ეს კვიტანცია ამ განცხადების დაბეჭდვიდან ექვსი თვის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პირს სრულიად წაერთმევა უფლება ამ ფულის მიღებისა გადაცემითის წარწერით და ეს ფული ჩაირიცხება ზემოხსენებულ აზნაუროვის მემკვიდრეთა სასარგებლოდ. (3—154—1)

გამოცდილი მასწავლებელი

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5 —8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ალაგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—2)

თევზის მაღაზია
ს. ა. ზუკასოვისა
პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ

ტელეფონი № 395 ტელეფონი № 395

განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი ზუთხი და თართი, ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.
ფასები სინიდისიერია. პატივისცემით ს. ა. ზუკასოვი. (40—33—14)

ტფილისის კანტორა
= აუწყებს პ. ბ. მსყიდველებს, რომ გავხსენით შაქრის საწყობი =
ხარკოვის ამხანაგობისა
შაქარ-რაფინადის ქარხნისა
ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ. სახლი № 3, ტელეფონი 567.
საწყობი ველიამინის ქუჩაზე, სახლი № 12. ა. ზ. სნეჟკოვი.
(10—144—5)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
მაღაზია
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა ახალი, (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა
და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—8)
ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.
ხიზილალა (Кетовая) წითელი ხიზილალა
ხიზილალა (Кетовая) წითელი ხიზილალა